# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა

2008 წლის 31 დეკემბრისათვის

# შინაარსი


დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა -3-

სპეციალური დანიშნულების ბალანსი -5-

სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის ანგარიშგება (კომერციული საქმიანობიდან) -7-

სპეციალური დანიშნულების ბიჯეტის დაფინანსებისა და ხარჯების ანგარიშგება (დარიცხვის მეთოდით) -8-

სპეციალური დანიშნულების ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგება -9-

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -10-

BAKER TILLY
GEORGIA LTD

44, Leselidze str., Meidan Palace
Tbilisi 0105, Georgia
Tel.: +99532 505353
Fax : +99532 505353

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს

1. ჩვენ ჩავატარეთ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" (შემდგომში მოხსენებული "სსიპ"): 2008 წლის 31 დეკემბრისათვის სპეციალური დანიშნულების საბალანსო უწყისის, 2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის უწყისის, სპეციალური დანიშნულების საბიუჯეტო და კომერციული ფულადი საშუალებების მოძრაობის უწყისის (შემდგომში მოხსენებული "სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება") აუდიტი. სსიპ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარმოებაზე თანდართული ფინანსური ანგარიშგების მე № 2 ახსნა განმარტებითი შენიშვნის შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და იმპლემენტირებას სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს არსებითი ხასიათის უზუსტობებს, შესაძლო თაღლითობისა ან შეცდომების გამო. პასუხისმგებლობა მოიცავს ასევე შესაფერისი საბუღალტრო პოლიტიკისა და შეფასებების შერჩევასა და გამოყენებას, რომლებიც გონივრული იქნება შესაბამის გარემოებებში. ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

2. გარდა იმ შეზღუდვებისა, რაზეც საუბარია მე-3 და მე-4 პარაგრაფებში, აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული შეხედულებებისამებრ, რომელიც მოიცავს იმ რისკების ანალიზს, რომლებიც დაკავშირებულია თაღლითობისა ან შეცდომების გამო შესაძლო არსებითი ხასიათის უზუსტობებთან. ამ რისკების შეფასების პროცესში, აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის სისტემას და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სამართლიან და უტყუარ ასახვას იმ მიზნით რომ, შეიმუშაოს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შეესაბამება კონკრეტულ გარემოებებს, და არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს მოსაზრება კლიენტის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

3. 2008 წლის განმავლობაში სსიპ მენეჯმენტმა დაიწყო სრულყოფილი ინვენტარიზაციის მოსამზადებელი სამუშაოები და განახორციელა 4,798,799 ლარის საბალანსო ღირებულების (2,506,818 ნარჩენი ღირებულების) ძირითადი საშაულებების მარკირება. გარდა მარკირებული ძირითადი საშუალებებისა, ჩვენ ვერ მოვახერხეთ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული ძირითადი საშუალებების სპეციალური მოწყობილობებისა და ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ჯგუფებში გაერთიანებული ძირითადი



an independent member of
BAKER TILLY
INTERNATIONAL

BAKER TILLY
GEORGIA LTD

44, Leselidze str., Meidan Palace
Tbilisi 0105, Georgia
Tel.: +99532 505353
Fax : +99532 505353

საშუალებების არსებობის დადასტურება სხვა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების საშუალებითაც.

4. სსიპ მენეჯმენტის მიერ ჩატარებულია სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2007 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ჩვენ დანიშნული ვიყავით სსიპ 2007 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად 2008 წლის მარტში, რის გამოც ვერ დავაკვირდით ინვენტარიზაციის პროცესს. 2008 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სასაქონლო-მატერიალური მარაგების დადასტურების მიზნით, სსიპ მენეჯმენტს არ ჩაუტარებია ინვენტარიზაცია. ჩვენ ვერ მოვახერხეთ 2007 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობრივი სისწორის დადასტურება სხვა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების საშუალებითაც.

5. სსიპ ბალანსზე ერიცხება კრედიტორული დავალიანება რამოდენიმე მომწოდებელთან სულ ჯამური თანხით 1,466,744 ლარზე რომლისგანაც ვერ იქნა მოპოვებული მათზე რიცხული დავალიანების დადასტურების წერილები. ჩვენ ვერ მოვახერხეთ მათზე რიცხული დავალიანების დადასტურება სხვა ალტერნატიული პროცედურის გამოყენებითაც.

6. ჩვენი აზრით, გარდა მე-3, მე-4 და მე-5 პარაგრაფებში მოცემული საკითხისა და მასთან დაკავშირებული კორექტირებისა, თუ ასეთს ადგილი ექნებოდა, რომ დავკვირვებოდით სასაქონლო-მატარიალური მარაგის ინვენტარიზაციას და დავრწმუნებულიყავით მათი რაოდენობის სისწორეში, დაგვედასტურებინა ძირითადი საშუალებების არსებობა და დაგვედასტურებინა კრედიტორული დავალიანება მომწოდებლებთან, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომ ელიც დასრულდა მოცემული თარიღებით ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა № 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

Baker Tilly Georgia Ltd.

23 აპრილი, 2009 წელი
თბილისი, საქართველო

# სპეციალური დანიშნულების ბალანსი

| | ა/გ შენიშვნები | 31.12.2008 | 31.12.2007 |
|---|---|---|---|
| აქტივები | | | |
| *ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები* | | | |
| ძირითადი საშუალებები, ნეტო | 4 | 15,394,873 | 14,014,477 |
| არამატერიალური აქტივები, ნეტო | | 3,712,638 | 1,218,890 |
| *სულ ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები* | | **19,107,511** | **15,233,367** |
| *მატერიალური მარაგები* | | | |
| კვების პროდუქტები | | 2,586 | 2,657 |
| სამეურნეო მასალები | | 535,323 | 322,305 |
| სათბობი, საწვავი | | 12,731 | 10,392 |
| სათადარიგო ნაწილები | | 651,008 | 644,378 |
| სხვა მატერიალური ფასეულობები | | 734,588 | 576,601 |
| მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი ინვენტარი | | 531,737 | 333,067 |
| *სულ მიმდინარე აქტივები* | | **2,467,973** | **1,889,400** |
| *ფულადი სახსრები* | | | |
| მიმდინარე ანგარიშები ბანკში | | 81,180 | 77,667 |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | | 540 | 3,719 |
| *სულ ფულადი სახსრები* | | **81,720** | **81,386** |
| *დაუფარავი ხარჯები* | | | |
| ბიუჯეტის ხარჯზე გაწეული მიმდინარე ხარჯები | | 1,004,577 | 711,373 |
| ბიუჯეტის ხარჯზე გაწეული კაპიტალური ხარჯები | | - | 89,310 |
| *სულ დაუფარავი ხარჯები* | | **1,004,577** | **800,683** |
| *ანგარიშსწორებანი* | | | |
| მოთხოვნები მაყურებლებთან და დამკვეთებთან, ნეტო | 5 | 1,904,767 | 3,133,531 |
| მომწოდებლებზე რიცხული ავანსები, ნეტო | 6 | 420,677 | 425,471 |
| ბიუჯეტთან ანგარიშსწორებანი, ნეტო | | 791,659 | 281,378 |
| სხვა მოთხოვნები, ნეტო | | 138,751 | 9,645 |
| *სულ ანგარიშსწორებანი* | | **3,255,854** | **3,850,025** |
| სულ აქტივები | | **25,917,635** | **21,854,861** |
| ანგარიშსწორებანი, ფონდები, დაფინანსების წყაროები და შედეგები | | | |
| ფონდები, დაფინანსების წყაროები და შედეგები | | | |
| ძირითადი საშუალებების ფონდი | | 8,032,411 | 11,549,113 |
| არამატერიალური აქტივების ფონდი | | 2,280,705 | 1,122,354 |
| აუთვისებელი დაფინანსება ბიუჯეტიდან | | - | - |
| ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე (- ნიშნით) | | (7,095,635) | (12,120,944) |
| სხვა მიზნობრივი ფონდები წყარო/(დეფიციტი) | | 218,502 | 774,879 |
| *სულ* ფონდები, დაფინანსების წყაროები და შედეგები | | 3,435,983 | **1,325,402** |

| | ა/გ შენიშვნები | 31.12.2008 | 31.12.2007 |
|---|---|---|---|
| ანგარიშსწორებანი | | | |
| მიღებული ავანსები მყიდველებისაგან | | - | 5,723,632 |
| დავალიანება სესხების სახით | 8 | 6,345,355 | - |
| დავალიანება მომწოდებლების წინაშე | | 6,566,371 | 5,363,035 |
| ბიუჯეტთან ანგარიშსწორებანი | 7 | 9,479,696 | 9,221,816 |
| სხვა ვალდებულებები | | 90,230 | 220,976 |
| *სულ* ანგარიშსწორებანი | | **22,481,653** | **20,529,459** |
| | | | |
| სულ ანგარიშსწორებანი, ფონდები, დაფინანსების წყაროები და შედეგები | | **25,917,635** | **21,854,861** |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია წარსადგენად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2009 წლის 23 აპრილს, რის დასტურადაც ხელმოწერილია:

ბ-ნი ლევან ჟუბანიშვილი,
გენერალური დირექტორი

ბ-ნი არჩილ ნოგოვაძე,
ფინანსური სამსახურის უფროსი

# სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის ანგარიშგება (კომერციული საქმიანობიდან)

| | 31.12.2008 დასრულებული წლისათვის | 31.12.2007 დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| *შემოსავლები კომერციული საქმიანობიდან* | | |
| შემოსავლები მომსახურების მიწოდებისაგან | 2,348,994 | 4.002.258 |
| შემოსავლები ქონების რეალიზაციისაგან (ნეტო) | 7,575,400 | 614,361 |
| სხვა შემოსავლები | 103,419 | 71,406 |
| ***სულ შემოსავლები კომერციული საქმიანობიდან*** | **10,027,813** | **4,688,025** |
| *ხარჯები გაწეული კომერციული სახსრებიდან* | | |
| ხარჯები შრომის ანაზღაურებაზე | (466,715) | (490.114) |
| მატერიალური მარაგების ხარჯები | (213,880) | (146.883) |
| მივლინების ხარჯები | (384,463) | (427.576) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (834,260) | (339,422) |
| სატრანსპორტო მომსახურება და ბენზინის ხარჯი | (49,107) | (40,961) |
| ფილმებისა და პროგრამების ხარჯები | (461,991) | (469,792) |
| სარეკლამო ინფორმაციის განთავსება | (105,069) | (23,612) |
| გადაცემის მომსახურება | (284,672) | (207,446) |
| სატელეკომუნიკაციო მომსახურება | (676,598) | (801,400) |
| საგადასახადო და საბაჟო ხარჯები | (535,467) | (496,350) |
| ელ ენერგია | (5,001) | (95.444) |
| რემონტი | (93,003) | (185.222) |
| კომერციული საქმიანობიდან წარმოქმნილი მიმდინარე აქტივების გაუფასურება | - | (29.073) |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | (52,181) | (80.926) |
| კომუნალური ხარჯები | (152,519) | (160.013) |
| პრიზები | (183,934) | (134,640) |
| ევროვიზიის ხარჯი | (109,517) | - |
| სხვა | (418,211) | (365,578) |
| ***სულ ხარჯები გაწეული კომერციული სახსრებიდან*** | **(5,026,588)** | **(4,494,452)** |
| მოგების გადასახადი | (195,208) | - |
| ***შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე/(ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე)*** | **4,806,017** | **193,573** |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია წარსადგენად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2009 წლის 23 აპრილს, რის დასტურადაც ხელმოწერილია:

ბ-ნი ლევან ყუბანეიშვილი,
გენერალური დირექტორი

ბ-ნი არჩილ ხოგოვაძე,
ფინანსური სამსახურის უფროსი

## სპეციალური დანიშნულების ბიუჯეტის დაფინანსებისა და ხარჯების ანგარიშგება (დარიცხვის მეთოდით)

| | 31.12.2008 დასრულებული წლისათვის | 31.12.2007 დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| *ბიუჯეტის და სხვა მიზნობრივი დაფინანსება* | | |
| ბიუჯეტის დაფინანსება | 20,672,664 | 17,701,236 |
| *სულ ბიუჯეტის და სხვა მიზნობრივი დაფინანსება* | **20,672,664** | **17,701,236** |
| *ხარჯები გაწეული ბიჯეტის და სხვა მიზნობრივი დაფიანანსებიდან* | | |
| ხარჯები შრომის ანაზღაურებაზე | (8,965,197) | (7,785,802) |
| მატერიალური მარაგები ხარჯები | (690,973) | (703,890) |
| მივლინების ხარჯები | (454,968) | (338,806) |
| ფილმებისა და პროგრამების ხარჯები | (565,620) | (1,130,269) |
| გადაცემის მომსახურება | (1,037,448) | (280,270) |
| ტექნიკური მომსახურება | (1,463,539) | (1,068,522) |
| სატელეკომუნიკაციო მომსახურება | (1,568,591) | (1,422,495) |
| კომპიუტერული მომსახურება და ინტერნეტი | (84,702) | (109,298) |
| ელ ენერგია | (294,016) | (119,204) |
| კომუნალური მომსახურება | (509,429) | (157,817) |
| ტრანსპორტის მომსახურება | (56,675) | (18,403) |
| გადასახადები | (411,015) | (343,287) |
| ძირითადი საშულებების ფონდი (შეძენა) | (2,861,077) | (3,547,372) |
| ევროვიზიის ხარჯი | (242,272) | - |
| სხვა | (1,106,404) | (1,249,438) |
| *ხარჯები გაწეული ბიჯეტის და სხვა მიზნობრივი დაფინანსებიდან* | **(20,311,926)** | **(18,274,873)** |
| *ხარჯების გადამეტება დაფინანსებაზე* | **360,738** | **(573,637)** |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია წარსადგენად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2009 წლის 23 აპრილს, რის დასტურადაც ხელმოწერილია:

ბ-ნი ლევან ქუბანეიშვილი,
გენერალური დირექტორი

ბ-ნი არჩილ ნოგოვაძე,
ფინანსური სამსახურის უფროსი

# სპეციალური დანიშნულების საბიუჯეტო და კომერციული ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგება

| | 31.12.2008 დასრულებული წლისათვის | 31.12.2007 დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| *ბიუჯეტის და სხვა მიზნობრივი დაფიანანსება* | | |
| ბიუჯეტის დაფინანსება | 20,672,664 | 17,695,216 |
| ფინანსთა სამინისტროსაგან აღებული სესხი | 4,226,392 | - |
| სხვა ფულადი შემოსავლები | 3,313 | - |
| ***სულ ბიუჯეტისა და სხვა მიზნობრივი დაფინანსებიდან მიღებული ფულადი სახსრები*** | **24,902,368** | **17,695,216** |
| *ფულადი გასავლები ბიუჯეტისა და სხვა მიზნობრივი დაფინანსებიდან* | | |
| შრომის ანაზღაურებაზე | 8,956,783 | 5,706,142 |
| მივლინების ხარჯებზე | 434,968 | 382,024 |
| სესხის მიზნობრივი გამოყენება | 4,226,392 | - |
| ძირითადი საშუალებების, საქონლისა და მომსახურებისა მომწოდებლებზე | 10,844,698 | 9,113,607 |
| გადასახადებზე | 439,528 | 2,493,443 |
| ***სულ ფულადი გასავლები ბიჯეტის და სხვა მიზნობრივი დაფინანსებიდან*** | **24,902,368** | **17,695,216** |
| *კომერციული შემოსავლები* | | |
| შემოსავლები კომერციული საქმინაობიდან | 5,684,885 | 7,735,147 |
| სხვა შემოსავლები და გრანტები | - | 105,180 |
| სესხები (ნეტო) | 2,096,785 | |
| ***სულ კომერციული შემოსავლები ფულადი სახსრები*** | **7,781,670** | **7,840,327** |
| *ფულადი გასავლები კომერციული სახრებიდან* | | |
| შრომის ანაზღაურებაზე | 476,067 | 391,280 |
| მივლინების ხარჯებზე | 395,122 | 454,017 |
| ძირითადი საშუალებების, საქონლისა და მომსახურებისა მომწოდებლებზე | 6,276,561 | 6,123,015 |
| სესხის პროცენტი | 5,359 | - |
| გადასახადებზე | 830,892 | 1,074,680 |
| ***სულ ფულადი კომერციული შემოსავლები ფულადი სახსრები*** | **7,984,000** | **8,042,992** |
| ***ფულადი საშუალებების ჯამური მატება/(კლება)*** | **(202,331)** | **(202,665)** |
| ***ფულადი საშუალებები წლის ბოლოს*** | **284,051** | **81,386** |
| ***ფულადი საშუალებები წლის დასაწყისში*** | **81,720** | **284,051** |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია წარსადგენად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2009 წლის 23 აპრილს, რის დასტურადაც ხელმოწერილია:

ბ-ნი ლევან ქუბანეიშვილი,
გენერალური დირექტორი

ბ-ნი არჩილ ჩოგოვაძე,
ფინანსური სამსახურის უფროსი

# ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ა/გ შენიშვნა 1. *ზოგადი ინფორმაცია*

სსიპ 'საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი' შექმნილია ტელერადიომაუწყებლობისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე. იგი წარმოადგენს საჯარო დაფინანსებით მოქმედ, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მისი მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოები არიან: სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი. მისი რეგისტრირებული ოფისის მისამართია: საქართველო, თბილისი, 0171, მ. კოსტავას ქ. 68.

ა/გ შენიშვნა 2 *წარდგენის საფუძვლები*

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 27 დეკემბერს № 1278 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2003 წლის 17 ოქტომბრის № 521 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ.

ქვემოთ მოყვანილი ფინანსური ელემენტების წარდგენისას გამოყენებულია ზემოთაღნიშნული ინსტრუქციისაგან განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკა:

- კომერციული საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი დებიტორები წარდგენილია შესაბამისი გაუფასურების ზარალის თანხით შემცირებული ღირებულებით. მისაღები დებიტორების გაუფასურება დგინდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს ამა თუ იმ დავალიანების (გადახდილი ავანსის) ამოღებას შესაბამისი გარიგების თავდაპირველი პირობების მიხედვით. გაუაფასურების ხარჯები ასახულია კომერციული საქმიანობის ამსახველ სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.
- გარდა ორგანიზაციის სპეციალური დანიშნულების ბალანსისა, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით № 521 დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბურალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ განსაზღვრული ანგარიშის ფორმებს, მათ მაგივრად წარდგენილია დარიცხვის პრინციპით ნაწარმოები: სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის უწყისი კომერციული საქმიანობიდან და სპეციალური დანიშნულების ბიუჯეტის დაფინანსებისა და ხარჯების ანგარიშგება. ასევე წარდგენილია საკასო მეთოდით ნაწარმოები სპეციალური დანიშნულების საბიუჯეტო სახსრების მოძრაობის და კომერციული სახსრების მოძრაობის უწყისი.
- უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ასახვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად აღირიცხება შესაბამისი მიზნობრივი ფონდების გაზრდის გზით. სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი სახის შემოსავლები ასახულია კომეციულ შემოსავლებში.

ა/გ შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ფინანსური ელემენტის აღრიცხვის პრინციპი. ის ფინანსური ელემენტები, რომელიც არ არის ახსნილი ქვემოთ, სპე ციალურ ფინანსურ ანგარიშგებაში

ასახულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანების № 1278 (2005 წლის 27 დეკემბერს) დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად.

*უცხოური ვალუტა.* ბალანსის თარიღისათვის კომპანიის განკარგულებაში მყოფი უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში ამ თარიღისათვის არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის დღისათვის არსებული გაცვლითი კურსებით დადგენილი ლარის ექვივალენტებში. უცხოური სავალუტო ოპერაციებისა და გადაფასების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი ა.შ.შ. დოლართან მიმართებაში:

| | 2008 | 2007 |
|---|---|---|
| წლის დასაწყისში | 1.5916 | 1.7135 |
| წლის ბოლოს | 1.6670 | 1.5916 |

*ძირითადი საშუალებები.* ძირითადი საშუალებები წარდგენილია საბალანსო ღირებულებით – ისტორიული ღირებულება შემცირებული აკუმულირებული ცვეთით. ცვეთა გამოითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით

*არამატერიალური აქტივები.* არამატერიალური აქტივები წარდგენილია საბალანსო ღირებულებით – ისტორიული ღირებულება შემცირებული აკუმულირებული ცვეთით. ცვეთა გამოითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით

*ფული და ფულის ექვივალენტები.* ფული მოიცავს ნაღდ თანხებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებით, რომელთა ხანდაზმულობის ნარჩენი ვადა იწურება ბალანსის თარიღიდან სამ თვეში ან მანამდე და რომელთა ფულში კონვერტაცია შესაძლებელია დაუბრკოლებლად.

*კომერციული საქმიანობიდან სავაჭრო-დებიტორული დავალიანება, ავანსები და სხვა აქტივები.* სავაჭრო დავალიანება შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს. დებიტორული დავალიანება და ავანსები რეგულარულად მოწმდება შესაძლო გაუფასურების გამოვლენის მიზნით. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, მისაღები ვალდებულებების გაუფასურება დგინდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს ამა თუ იმ დავალიანების (გადახდილი ავანსის) ამოღებას შესაბამისი გარიგების თავდაპირველი პირობების მიხედვით.

*მარაგები.* მარაგები აისახება თვითღირებულებით.

*კომერციული შემოსავლების აღიარება.* შემოსავლების აღიარება ხორციელდება დარიცხვის მეთოდით.

ა/გ შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები

| | მიწა | შენობა – ნაგებობები | სპეციალური მოწყობილობები და ინვენტერი | სტრანსპორტო საშუალებები | საბიბლიოთეკო ფონდები | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ღირებულება:* | | | | | | | |
| 31.12.2006 | **1,314,025** | **3,578,202** | **13,834,160** | **1,925,241** | **43,017** | **1,433,488** | **22,128,133** |
| დამატება | 98,276 | 450,070 | 5,142,875 | 36,958 | 657 | 376,033 | **6,104,869** |
| გასვლა | (9,050) | (252,704) | (1,078,738) | (49,444) | - | (5,818) | **(1,395,754)** |
| **31.12.2007** | **1,403,251** | **3,775,568** | **17,898,297** | **1,912,755** | **43,674** | **1,803,703** | **26,837,248** |
| დამატება | 58,480 | 1,183,747 | 1,638,573 | 77,524 | 217 | 287,638 | 3,246,179 |
| გასვლა | (206,186) | - | (609,143) | (10,300) | - | (106,409) | (932,039) |
| **31.12.2008** | **1,255,545** | **4,959,315** | **18,927,727** | **1,979,979** | **43,891** | **1,984,932** | **29,151,388** |

| | |
|---|---|
| საბალანსო ღირებულება 31.12.2006 | **11,024,149** |
| საბალანსო ღირებულება 31.12.2007 | **14,014,477** |
| საბალანსო ღირებულება 31.12.2008 | **15,394,873** |

კოსტავას 68 არსებული სსიპ შენობა-ნაგებობები და მიწა ჩადებულია სესხის უზრუნველყოფის სახით (იპოთეკა) საქართველოს ბანკის სასარგებლოდ. დეტალები იხილეთ ა/გ შენიშვნა 8.

ა/გ შენიშვნა 5. მოთხოვნები მყიდველებთან და დამკვეთებთან, ნეტო

| | 31.12.2008 | 31.12.2007 |
|---|---|---|
| მოთხოვნები მყიდველებთან და დამკვეთებთან | 2,246,954 | 3,526,662 |
| გაუფასურების რეზერვი | (342,187) | (393,131) |
| **მოთხოვნები მყიდველებთან და დამკვეთებთან, ნეტო** | **1,904,767** | **3,133,531** |

ა/გ შენიშვნა 6. მომწოდებლებზე რიცხული ავანსები, ნეტო

| | 31.12.2008 | 31.12.2007 |
|---|---|---|
| საბიუჯეტო სახსრების ავანსები | 407,955 | 59,861 |
| ავანსები კომერციული სახსრების წყაროდან | 234,964 | 587,851 |
| გაუფასურების რეზერვი | (222,241) | (222,241) |
| **მომწოდებლებზე რიცხული ავანსები, ნეტო** | **420,677** | **425,471** |

ა/გ შენიშვნა 7. საგადასახადო ვალდებულებები

წარდგენილი მუხლი ჯამური ციფრი 9,561,993 შეიცავს გადავადებულ გადასახადების თანხას 8,856,299.52. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ "საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა" 2004 წლის 27 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა სსიპ ქვემოთ მოყვანილი გადასახადების რესტრუქტურიზაცია:

| | 31.12.2008 |
|---|---|
| რეკლამის გადასახადი | 59,657.71 |
| სამეწარმეო გადასახადი | 1,083.00 |
| საგზაო გადასახადი | 136,895.81 |
| სოციალური გადასახადი | 6,827,630.00 |
| დღგ | 9,020.00 |
| საშემოსავლო გადასახადი | 1,626,667.00 |
| ქონების გადასახადი | 195,346.00 |
| **სულ** | **8,856,299.52** |

ხელშეკრულების საფუძველზე 2009 1 აგვისტომდე რესტრუქტურიზებული დავალიანება გაიყინა (არ ერიცხება პროცენტი და სხვა სახის სარგებელი) ხოლო ამ თარიღის შემდეგ მოხდეს ამ დავალინების დაფარვა 2019 წლის 1 აგვისტომდე ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკით (გადავადების პერიოდი). გადავადების პერიოდში მოხდება 0.5 პროცენტის სარგებლის დარიცხვა ყოველთვიურდ.

ა/გ შენიშვნა 8. სესხები

| | 31.12.2008 | 31.12.2007 |
|---|---|---|
| სს საქართველოს ბანკი | 2,096,785 | - |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | 4,226,392 | - |
| დავალიანება პროცენტის სახით (სს საქართველოს ბანკი) | 22,178 | - |
| **სულ** | **6,345,355** | **-** |

საქართველოს ბანკის მიერ სესხები გაცემულია 2008 წლის ნოემბერში სსიპ-სა და სს საქართველოს ბანკს შორის არსებული 2007 წლის 10 სექტემბრის საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. სესხები გაცემულია შემდეგი პირობით:

- სესხი 649,149 ლარზე - ძირი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს 2009 წლის ნოემბერში ერთჯერადი მთლიანი თანხის გადახდის სახით. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 18 %. პროცენტი იხდება ყოველთვიურად.
- სესხი 1,447,636 ლარზე – საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 18 %. პროცენტი ერიცხება ნარჩენ ძირ თანხას. დარიცხული პროცენტისა და ძირის დაფარვა უნდა მოხდეს ყოველთვიური 54,286.51 ლარის გადახდის სახით 2011 წლის ნოემბრის ბოლომდე.
- 2011 დეკემბრამდე სსიპ ვალდებულია ექსკლუზიურად ისარგებლოს საქართველოს ბანკის მომსახურებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სესხების მიხედვით დავალიანებები უნდა დაიფაროს სს საქართველოს ბანკის მოთხოვნისთანავე.
- სესხის უზრუნველყოფის მიზნით სსიპ საკუთრებაში არსებული ქ. თბილისის კოსტავას ქუჩა № 68 მდგარი შენობა და მიწა დაიტვირთა იპოთეკით სს საქართველოს ბანკის სასარგებლოდ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტოსთან გაფორმებულია სესხი 2008 წლის ივლისში. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 7 ივლისის № 459 განკარგულების შესაბამისად სსიპ გამოეყო 1,904,380.50 ევროს ექვივალენტი 4,226,392 ლარი უპროცენტო სესხის სახით. თანხა გამოყოფილი იქნა ევროპულ სასამართლოში, საქართველოს მხარესა და ევროპულ სატელეკომუნიკაციო კომპანია "Eutelsat SA" შორის მიმდინარე დავის მორიგების დასრულების მიზნით მიღწეული შეთანხმების შესაბამისად საქართველოს მხარის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების ანაზღაურების მიზნით. სესხის სახით გამოყოფილი თანხა სსიპ მიერ გადარიცხულია "Eutelsat SA" ანგარიშზე. სესხის დაფარვა უნდა მოხდეს შემდეგი გადახდის გრაფიკის საშუალებით:

| დაფარვის თარიღი | თანხა |
|---|---:|
| 25.11.2009 | 300,000 |
| 25.11.2010 | 1,258,140 |
| 25.11.2011 | 1,258,140 |
| 25.11.2012 | 1,258,140 |
| 31.12.2012 | 151,971 |

## ა/გ შენიშვნა 8. განუსაზღვრელობები

სსიპ ბალანსზე ერიცხება დავალიანება შპს თბილისის წყალთან 187,726 ლარის ოდენობით. სსიპ ხელმძღვანელობის ინფორმაციით, კრედიტორს დარიცხული აქვს ამ დავალიანებაზე საურავები, რის შედეგადაც შპს თბილისის წყალის მონაცემებით დავალიანების თანხამ შეადგინა 885,547 ლარი. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ მოახერხებს კრედიტორთან დავალიანების დაფარვას საურავების გადახდის გარეშე. ამ მიზეზით არ მომხდარა ფინანსური ანგარიშგების კრედიტორული დავალიანების ჩასწორება.